№2623 2014 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

1. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს დანართის შესაბამისად.

2. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და 2015 წლის განმავლობაში, ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა განისაზღვროს 15 ერთეულით.

3. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 12 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2014 წლის 31 დეკემბრის
№ 2623 განკარგულების

დანართი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის საშტატო ნუსხა
და თანამდებობრივი სარგოები

თანამდებობის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო ერთ ერთეულზე
მინისტრი	1	3,540
მინისტრის პირველი მოადგილე	1	2,950
მინისტრის მოადგილე	3	2,720
დეპარტამენტის უფროსი	11	2,150
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	10	1,700
მინისტრის მრჩეველი	6	1,900
მრჩეველი	2	1,500
სამმართველოს უფროსი	16	1,600
მთავარი ბუღალტერი	1	1,450
მთავარი სპეციალისტი	63	1,180
უფროსი სპეციალისტი	17	950
სპეციალისტი	6	830
მინისტრის თანაშემწე	2	1,180
თანაშემწე	4	830
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	8	830
სულ ჯამი	**151**	